ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2019 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება B&L Elektrogeräte GmbH v GC, C-465/19, ECLI:EU:C:2019:1091:

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

5 დირექტივის 2011/83 მე-9 მუხლის პირველ პუნქტში, რომლის სათაურიცაა „ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება“, მითითებულია:

„გარდა მე-16 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, **მომხმარებელს აქვს 14-დღიანი ვადა დისტანციურ ან სარეწის გარეთ დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმისთვის,** ყოველგვარი მიზეზის მითითების და მე-13(2) და მე-14 მუხლებით გათვალისწინებული ხარჯების გარდა სხვა ხარჯების გაწევის გარეშე“.

[…]

20 წინასწარი შენიშვნის სახით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დირექტივა 2011/83 **„სარეწის გარეთ დადებულ ხელშეკრულებას“, პირველ რიგში, განმარტავს მე-2(8)(a) მუხლით, როგორც ნებისმიერ ხელშეკრულებას მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის, დადებულს მოვაჭრისა და მომხმარებლის ერთდროული ფიზიკური თანაყოფობით, ისეთ ადგილას, რომელიც არ წარმოადგენს მოვაჭრის სარეწს,** და მეორე რიგში - მე-2(8)(c) მუხლით, როგორც **ნებისმიერ ხელშეკრულებას მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის, დადებულს მოვაჭრის სარეწში ან დისტანციური კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით, დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც მომხმარებელმა ხელშეკრულების დადების შესახებ ინდივიდუალური შეთავაზება მიიღო უშუალოდ მოვაჭრისგან სარეწის გარეთ, მოვაჭრისა და მომხმარებლის ერთდროული ფიზიკური თანაყოფობისას.**

21 **„სარეწის“ ცნება** ამ დირექტივის მე-2(9) მუხლით განსაზღვრულია, როგორც, პირველ რიგში, **ნებისმიერი უძრავი საცალო ვაჭრობის ობიექტი, სადაც მოვაჭრე მუდმივად ახორციელებს საქმიანობას** და, მეორე, **ნებისმიერი მოძრავი საცალო ვაჭრობის ობიექტი, სადაც მოვაჭრე ჩვეულებრივ ახორციელებს თავის საქმიანობას.**

22 ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა, რომ დირექტივის 2011/83 ერთ-ერთი მიზანი, სხვა საკითხებთან ერთად, მისი პრეამბულის 21-ე პუნქტშია ასახული, რომლის თანახმადაც, **როდესაც მომხმარებელი იმყოფება მოვაჭრის სავაჭრო ტერიტორიის (სარეწის) გარეთ, ის შეიძლება პოტენციურად მოექცეს ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ ან აღმოჩნდეს მოულოდნელობის ელემენტის წინაშე, მიუხედავად იმისა, მოითხოვა თუ არა მომხმარებელმა მოვაჭრის ვიზიტი.** ამ მხრივ, ევროკავშირის კანონმდებლის განზრახვა მოიცავს იმ სიტუაციებსაც, **როდესაც მომხმარებელს პირადად და ინდივიდუალურად მიმართავენ სარეწის გარეთ, მაგრამ ხელშეკრულება იდება დაუყოვნებლივ, მოვაჭრის სარეწში ან დისტანციური კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით** *(ამასთან დაკავშირებით, იხ., 2018 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილება, Verbraucherzentrale Berlin, C 485/17, EU:C:2018:642, პუნქტი 33).*

[…]

24 უფრო კონკრეტულად, იმ სიტუაციაში, როდესაც მოვაჭრე თავის საქმიანობას ბაზრობაზე განთავსებულ სტენდზე ახორციელებს, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ, როგორც ეს დირექტივის 2011/83 პრეამბულის 22-ე პუნქტშია მითითებული, **ბაზრის დახლები და საგამოფენო სტენდები უნდა ჩაითვალოს სარეწად, თუ ისინი მოვაჭრისთვის მუდმივ ან ჩვეულ სამუშაო ადგილს წარმოადგენს** *(ამასთან დაკავშირებით, იხ., 2018 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილება, Verbraucherzentrale Berlin, C 485/17, EU:C:2018:642, პუნქტი 41).*

25 იმავე პრეამბულაში ასევე აღნიშნულია, რომ, ამის საპირისპიროდ, **საზოგადოებრივი სივრცეები, როგორიცაა ქუჩები, სავაჭრო ცენტრები, პლაჟები, სპორტული ობიექტები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომლებსაც მოვაჭრე თავისი სამეწარმეო საქმიანობისთვის გამონაკლის შემთხვევებში იყენებს, ასევე კერძო სახლები ან სამუშაო ადგილები, არ უნდა ჩაითვალოს სარეწად** (ამასთან დაკავშირებით, იხ., 2018 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილება, Verbraucherzentrale Berlin, C 485/17, EU:C:2018:642, პუნქტი 42).

[…]

29 ამ მხრივ, **საგამოფენო დარბაზში არსებული, სხვადასხვა სტენდებისთვის განკუთვნილი საერთო დერეფანი, სადაც განთავსებული იყო B&L Elektrogeräte-ის სავაჭრო სტენდი, ვერ ჩაითვლება „სარეწად“** დირექტივის 2011/83 მე-2(9) მუხლის მნიშვნელობით, ვინაიდან ეს დერეფანი უზრუნველყოფდა წვდომას ამ დარბაზში არსებულ ყველა მოვაჭრის სტენდზე.

30 აღნიშნული ფაქტი, რომელიც განმხილველი სასამართლოს მიერ იქნა დადგენილი, შეესაბამება დირექტივის 2011/83 პრეამბულის 22-ე პუნქტში მითითებულ სიტუაციას, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივი სივრცეები, როგორიცაა ქუჩები და სავაჭრო ცენტრები, არ უნდა ჩაითვალოს „სარეწად“.

[…]

33 ძირითად სასამართლო პროცესზე განხილულ სიტუაციაში [რომელიც ნახსენებია გადაწყვეტილების 22-ე პუნქტში] სახეზე გვაქვს მოულოდნელობის ელემენტი, **როდესაც მომხმარებელი იმყოფება საგამოფენო დარბაზში - რომელიც წარმოადგენს საერთო სივრცეს დარბაზში არსებული სხვადასხვა სავაჭრო სტენდებისთვის, ამდენად, ამ პირობებში, მხოლოდ შესაბამისი მოვაჭრის სტენდი წარმოადგენს მის სარეწს - და ამავდროულად მოვაჭრე ინდივიდუალურ შეთავაზებას უკეთებს მომხმარებელს მის სტენდთან ხელშეკრულების დაუყოვნებლივ დადების მიზნით. შესაბამისად, ასეთი ხელშეკრულება უნდა ჩაითვალოს „სარეწის გარეთ დადებულ ხელშეკრულებად“ დირექტივის 2011/83 მე-2(8)(c) მუხლის მნიშვნელობით.**

მოკლე მიმოხილვა:

3 დირექტივის 2011/83 პრეამბულის 22-ე […] პუნქტი შემდეგნაირადაა ფორმულირებული:

> (22) **სარეწი უნდა მოიცავდეს ნებისმიერი ტიპის სავაჭრო ობიექტს (როგორიცაა მაღაზიები, დახლები ან მობილური კვების ობიექტები), რომელიც წარმოადგენს მოვაჭრის მუდმივ ან ჩვეულ სამუშაო ადგილს. ბაზრის დახლები და საგამოფენო სტენდები უნდა ჩაითვალოს სარეწად, თუ ისინი აკმაყოფილებენ ამ პირობას.** საცალო ვაჭრობის ობიექტი, სადაც მოვაჭრე თავის საქმიანობას სეზონურად ახორციელებს, მაგალითად, ტურისტული სეზონის დროს სათხილამურო ან საზღვაო კურორტზე, **უნდა ჩაითვალოს სარეწად, ვინაიდან მოვაჭრე თავის საქმიანობას აღნიშნულ სარეწში ჩვეულებრივ [რეგულარულად] ახორციელებს.** საზოგადოებრივი სივრცეები, როგორიცაა ქუჩები, სავაჭრო ცენტრები, პლაჟები, სპორტული ობიექტები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი,

რომლებსაც მოვაჭრე თავისი სამეწარმეო საქმიანობისთვის გამონაკლის შემთხვევებში იყენებს, ასევე კერძო სახლები ან სამუშაო ადგილები, **არ უნდა ჩაითვალოს სარეწად. …“**

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ იმსჯელა იმ შემთხვევაზე, **უნდა ჩაითვალოს თუ არა ხელშეკრულება სარეწის გარეთ დადებულად დირექტივის 2011/83/EU მე-2(8)(c) მუხლის მნიშვნელობით, რომელიც, ამავე დირექტივის მე-9 მუხლის შესაბამისად, წარმოშობს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას,** თუ ის დადებულია მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის სავაჭრო გამოფენაზე მოვაჭრის მიერ განთავსებულ სტენდზე, დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც ამ მომხმარებელს, რომელიც იმყოფებოდა საგამოფენო დარბაზის სივრცეში არსებულ, სხვადასხვა სტენდებისთვის განკუთვნილ საერთო დერეფანში, მოვაჭრემ საქონლის ყიდვის ინდივიდუალური შეთავაზება გაუკეთა. **ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი ხელშეკრულება მიჩნეულ უნდა იქნეს „სარეწის გარეთ დადებულ ხელშეკრულებად“ დირექტივის 2011/83 მე-2(8)(c) მუხლის მნიშვნელობით.**

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი XXIX
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2011/83/EU მომხმარებლის უფლებების შესახებ, რომელიც ცვლის საბჭოს დირექტივას 93/13/EEC და ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივას 1999/44/EC და აუქმებს საბჭოს დირექტივას 85/577/EEC და ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივას 97/7/EC
ევროკავშირის დებულება	დირექტივის 2011/83/EU მე-2(8)(c), მე-2(9) და მე-9 მუხლები
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი და მე-13 მუხლი *(სარეგისტრაციო კოდი: 240110010.05.001.020542; 15/12/2023 კონსოლიდირებული ვერსია)*
საკვანძო ტერმინი	**სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულება**
CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	2019 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება B&L Elektrogeräte GmbH v GC, C-465/19, ECLI:EU:C:2019:1091

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.